

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა–ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია:

უფროსი ლაბორანტი – 1 (ერთი) სრული საშტატო განაკვეთი;

თანამდებობრივი სარგო: 750 ლარი;

უფროსი ლაბორანტის კონკურსის პირობები:

ფუნქციები:

- სხვადასხვა ნახევარგამტარული მასალების (Si, SiGe...) ზედაპირების ქიმიური მეთოდით დამუშავება, მათი მომზადება მაღალტემპერატურული დიფუზიის მეთოდით p-n სტრუქტურების შესაქმნელად.
- მონაწილეობა ლაბორატორიის კვლევით სამუშაოებში(კომპეტენციის ფარგლებში).

კონკურსანტს მოეთხოვება:

- ქიმიურ ნივთიერებასთან მუშაობისას უსაფრთხოების მოთხოვნების ცოდნა და დაცვა.
- ენების ცოდნა(ქართული და ერთ-ერთი უცხო ენა).
- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint საოფისე პროგრამების ცოდნა, ინტერნეტში მუშაობის გამოცდილება.
- სასურველია რომელიმე კომპიუტერული პროგრამის (LabVIEW, ORIGIN, MATLAB) ცოდნა.
- უნდა გამოამჟღავნოს ინტერესი კვლევითი სამუშაოს მიმართ, იყოს აქტიური.

კომპეტენციები:

- პასუხისმგებლობის გრძნობა, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროდუქტიულობა.

ენების ცოდნა:

- სახელმწიფო ენის სრულყოფილად ცოდნა.
- ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- ორი რეკომენდატორის: სახელი, გვარი: სამუშაო ადგილი; თანამდებობა; ტელეფონის ნომერი; ელ.ფოსტის მისამართი.

## განათლება:

არანაკლებ ბაკალავრიატის კურსდამთავრებული .

## შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარმოდგენა).

## კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსის მეორე ეტაპიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ ფოსტაზე: [xlomidze@sipt.org.ge](mailto:xlomidze@sipt.org.ge) 2022 წლის 19 სექტემბრის 10 საათიდან 20 სექტემბრის 18 საათამდე. (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 2022 წლის 21 სექტემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:

ხათუნა ლომიძე

ტელეფონი 599959913